პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 აპრილი კვირა 1974 წელი 2. კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 82 (15903)

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

საქართველო მეჩაიეებს კარგი ტრადიცია აქვთ — ყოველწლიურად, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების წინ ისინი იკრიბებიან, რათა ერთმანეთს უამბონ მოპოვებულ წარმატებებზე, გაუზიარონ გამოცდილება, დასახონ უფრო ნაყოფიერი, უკეთესი მუშაობის გზები.

სათქმელი კი ბევრი აქვთ, მათ ხომ 1973 წელს, ასრულებდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს, მოკრიფეს იმდენი ჩაის ფოთოლი, რამდენიც უნდა მოეკრიფათ მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის, და ახლა გაიჩაღეს ბრძოლა ახალი მიჯნების მისაღწევად.

ამჯერად საქართველოს სახელოვან მეჩაიეთა შეკრების ადგილად ქალაქი ქუთაისი აირჩიეს. ცხრაასზე მეტი კაცი ჩამოვიდა აქ რესპუბლიკის მეჩაიეების რაიონებიდან. ბევრს მკერდს უმშვენებენ სამშობლოს ჯილდოები — მათი თავდადებული შრომის მაღალი შეფასების ნიშნები.

მეჩაიეებთან ერთად შეკრებაზე ჩამოვიდნენ კოლეგიურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელები, ჩაის მრეწველობის მოწინავე მუშები, თვალსაჩინო მეცნიერები, სპეციალისტები, ხელმძღვანელი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, სამეურნეო მუშაკები.

5 აპრილს შეკრების მონაწილეები დაესწრნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოფენის გახსნას. აქ ექსპონირებულია ქუთაისის საწარმოებში დამზადებული მანქანებიც.

შეკრების მონაწილეთა საინტერესო შეხვედრები ქალაქის მშრომელებთან გაიმართა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, ტრაქტორის, ელექტროტექნიკურ, ელექტრომექანიკურ ქარხნებში, კვების მრეწველობის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებათა სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში და ქალაქის სხვა საწარმოებში.

ქართველმა მეჩაიეებმა დაათვალიერეს ქალაქ ქუთაისის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ გელათში, საღამოს ნახეს ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი „რაიკომის მდივანი“.

6 აპრილს თეატრის შენობაში გაიხსნა მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების რესპუბლიკური შეკრება. შესავალი სიტყვით შეკრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა.**

მოხსენება „მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარების 1973 წლის შედეგები და 1974 წლის ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. გელდიაშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. კობახია,** ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. პაპავა,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. თხილაიშვილი,** საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველი **ო. აბესაძე,** ლაითურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მოწინავე მუშა, სოციალისტური შრომის გმირი **ლ. კოსენკო,** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ი. რთველიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ი. თოდუა,** გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **მ. ხაგუში,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გ. შხვაცაბაია,** პოეტი **მ. ფოცხიშვილი,** ლაითურის ჩაის ფაბრიკის დირექტორი **ო. თენეიშვილი,** ინგირის ლენინის ორდენოსანი მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი **ო. გაგუა,** რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველი მოადგილე **გ. ყიფიანი,** პროფესორი **შ. კერესელიძე.**

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

შეკრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკისადმი.

ტაშის გრიალში შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

შეკრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ ქალაქის პიონერები და მოსწავლეები. საღამოს გაიმართა დიდი კონცერტი. **(საქინფორმი).**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებისა და ამის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ივანოვოს, ლენინგრადისა და როსტოვის ოლქების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ივანოვოს, ლენინგრადისა და როსტოვის ოლქების მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად წამოაყენეს წინადადება, რომ ფართო სოციალისტური შეჯიბრება გაშალონ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებისა და ამის ხარჯზე მიმდინარე წელს დამატებითი მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის, და უზრუნველყონ 1975 წელს მისი წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო საოლქო კომიტეტებს, სამრეწველო სამინისტროებს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ხრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს გასწიონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა დარაზმონ საწარმოთა კოლექტივები მოქმედი მოწყობილობის უფრო სრულად გამოყენების, ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეთა ვადამდე ათვისების დამატებითი ღონისძიებების განსახორციელებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მომუშავეებს შეუქმნან მაღალნაყოფიერი შრომის პირობები წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის, ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე. უკეთ გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად; განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივი ხარგებლობის ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სბავშვო და სამედიცინო დაწესებულებების უფრო ზუსტი მუშაობის ორგანიზაციისათვის, დიეზმარონ საწარმოების კვალიფიციური კადრებით წარმოების უმნიშვნელოვანესი უბნების დაკომპლექტებაში.

სამრეწველო სამინისტროებსა და საკავშირო პროფსაბჭოს დავალებული აქვთ ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მოწინავე კოლექტივების ინიციატივას საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებისათვის და უზრუნველყონ მისი ფართო გავრცელება, საჭირო პირობების შექმნა იმისათვის, რომ შეჯიბრების მონაწილეებმა შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისებისათვის მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

სიმძლავრეებს — სრული დატვირთვა

სოციალისტური ვალდებულებანი

ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ივანოვოს, ლენინგრადისა და როსტოვის ოლქების მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებისა, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებისა და ამის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოშვების დარგში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ივანოვოს, ლენინგრადისა და როსტოვის ოლქების მოწინავე საწარმოებმა, აკეთებენ რა მიღწეულ საწარმოო წარმატებებს, იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი, რომ უკეთ გამოიყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს და ამის ხარჯზე მიმდინარე წელს დამატებით გამოუშვებენ მაღალხარისხოვან ქსოვილებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და სახლო მოხმარების სხვა საქონელს და 1975 წელს უზრუნველყოფენ მათი წარმოების ზრდის სწრაფ ტემპს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება გათვალისწინებულია წარმოების შინაგანი რეზერვების უფრო სრული გამოყენების: მოწყობილობის მუშაობის ცვლადობის კოეფიციენტის ამაღლების, მისი მწარმოებლობის გადიდების, ჩარხებისა და მანქანების მოცდენის შემცირების, მომუშავეთათვის მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შექმნის, კადრების პროფესიულ-ტექნიკური მომზადების გაუმჯობესების შედეგად.

სამუშაო დროის დანაკარგების აღმოფხვრის მიზნით დასახულია საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტის მოძრაობის უფრო ზუსტი ორგანიზაცია საწარმოთა მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რაიონებში განლაგებული საბავშვო, სამედიცინო დაწესებულებებისა და მომსახურების სფეროს სხვა ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ყურადღება ექცევა სანიაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვას.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

ბელორუსიის სსრ

ორშის სელის კომბინატის ფეიერებმა გადაწყვიტეს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, დადგენილ ვადაზე ოთხი თვით ადრე კომბინატის მესამე რიგის საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების შედეგად მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილები; გასულ წელთან შედარებით 7,7 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება — 2,7 პროცენტით გადაჭარბონ ხუთწლედის დავალებას ამ მაჩვენებლის მხრივ; მოწყობილობის მწარმოებლობის ზრდის, ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებისა და მოცდენების შემცირების შედეგად სართავ და საქსოვ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე გაზარდონ 98,5 პროცენტამდე და 1975 წელს უზრუნველყონ 82 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილების გამოშვება, რაც 3 მილიონი კვადრატული მეტრით აღემატება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მოცულობას, და ხუთწლედის დავალების გადამეტებით გამოუშვან 10 მილიონი კვადრატული მეტრი მაღალხარისხოვანი სელის ქსოვილები.

ბრანოვიჩის ბელორუსიის ლენინური კომკავშირის სახელობის ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება, რომ 1974 წელს სართავ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება გაზარდოს 97,8 პროცენტამდე და საქსოვ სიმძლავრეთა — 99 პროცენტამდე, გეგმის გადამეტებით გამოუშვას მილიონი კვადრატული მეტრი ბამბის ქსოვილები და 400 ტონა ნართი. საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ასეთი დონის მიღწევა შექმნის შესაძლებლობას, რომ 1975 წელს წარმოების მოცულობა 1974 წელთან შედარებით გაიზარდოს 2,2 პროცენტით და ამ მაჩვენებლით დადაჭარბოს ხუთწლიანი გეგმის დავალებას.

ბრესტის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის კომბინატის მეტრიკოტაჟეებმა გადაწყვიტეს 1974 წელს წარმოების მოცულობა გაზარდონ 5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 8 პროცენტით, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებული იყო შესაბამისად 3,8 და 6 პროცენტი. 1975 წელს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე გაზარდონ 98 პროცენტამდე 1974 წლის გეგმით გათვალისწინებული 94,6 პროცენტის ნაცვლად, უზრუნველყონ წარმოების მოცულობის გადიდება 5 პროცენტით; მოლიანად ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1975 წლის პირველ კვარტალში და ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვან 22 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მოგილიოვის აბრეშუმის ქსოვილების მშენებრივ კომბინატის ახალგაზრდა კოლექტივმა იკისრა ვალდებულება 1974 წელს ვადამდე აამოქმედოს მეორე ასამუშაგებელი კომპლექსის სიმძლავრეები. ნორმატიულ ვადაზე სამი თვით ადრე აითვისოს პირველი რიგის საპროექტო სიმძლავრე და 6 თვით ადრე — საჩითავი წარმოების სიმძლავრეები; ამის ხარჯზე გეგმის გადამეტებით მიმდინარე წელს გამოუშვას 1,2 მილიონი მანეთის და 1975 წელს — 6 მილიონი მანეთის პროდუქცია იმ მოცულობათა გადამეტებით, რომლებიც გათვალისწინებულია სიმძლავრეთა ათვისების ვადებით.

მინსკის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „კომსომოლკის“ მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა იკისრეს ვალდებულება 1974 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2,9 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1975 წელს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე გაზარდონ 98,8 პროცენტამდე, ხუთ წელიწადში შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 43;9 პროცენტით, რაც 12,5 პროცენტით აღემატება ხუთწლიანი გეგმის დავალებას.

ლიტვის სსრ

კ. ზიბერტასის სახელობის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 43,5 პროცენტით ხუთწლიანი გეგმის გათვალისწინებული 36,7 პროცენტის ნაცვლად, ხუთწლედის დავალების გადამეტებით გამოუშვებს 1,8 მილიონ კვადრატულ მეტრ ლამაზ ქსოვილებს, მთელი პროდუქციის 10 პროცენტამდე გაზრდის ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრით წონას.

უტენის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშაკები ვადაზე სამი თვით ადრე აითვისებენ საფარდე ტილოს საქსოვ ახალ მანქანებს და ამის შედეგად გეგმის გადამეტებით გამოიმუშავებენ და სავაჭრო ორგანიზაციებს მიაწვდიან 35 ათას კვადრატულ მეტრ ამ ქსოვილებს; 2 პროცენტით გაზრდიან ტრიკოტაჟის საქსოვ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტს, ნედლეულისა და მასალების უკეთ გამოყენების, დანაკარგების შემცირების შედეგად მიიღებენ 45 ათას მანეთ შეჯიგმით მოგებას.

„ტრანიჩიოს“ ბამბასართავი ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ერთი სამად შეამცირებენ ახალი მოწყობილობის ათვისების ვადებს ნორმატივებით დადგენილ ვადებთან შედარებით, დანერგავენ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციასა და მოწინავე მეთოდებს, 1974 წელს 4,5 პროცენტით გადაჭარბებენ შრომის ნაყოფიერებს 1975 წლისათვის დადგენილ დონეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 102 ტონა ბამბის ნართს.

მოლდავეთის სსრ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს აამაღლონ ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და შეკერილი ნაწარმის საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე 1-6 პროცენტით, ნორმატიულ ვადაზე 6 თვით ადრე აითვისონ სოროკის სამკერვალო ფაბრიკის საპროექტო სიმძლავრე და ორი თვით ადრე — ტირასპოლის ბამბეულის კომბინატის სართავი წარმოების საპროექტო სიმძლავრე; ამის ხარჯზე უზრუნველყონ 1974 წლის გეგმის გადამეტებით 1,5 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმისა და 120 ტონა ბამბის ნართის გამოშვება, დარგის ყველა საწარმომ წლიური გეგმა შეასრულოს 27 დეკემბრისთვის და გამოუშვას 6,4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია; მიმდინარე წელს ყველა ნაკეთობის 96-100 პროცენტით გამოუშვას უმაღლესი და პირველი კატეგორიით, აითვისონ 1.270 ახალი მოდელი, ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ატესტაციისათვის მოამზადონ 55 ნაკეთობა. ტექნიკის, ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც მიმდინარე წელს ხორციელდება, შექმნიან შესაძლებლობას, რომ 1975 წელს 1974 წელთან შედარებით 9 პროცენტით გაზარდონ წარმოების მოცულობა და მიაღწიონ ხუთწლედის დავალებათა დონეს.

ივანოვოს ოლქი

სამრეწველო გაერთიანებების — „ივტექნოქსოვილისა“ და „ივბამბმტემპს; 89,6 პროცენტიდან 91 პროცენტამდე გაზრდიან საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების პროცენტს, ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ატესტაციისათვის მოამზადებენ ტანსაცმლის 27 მოდელს.

სამკერვალო ფირმა „ტრუდის“ კოლექტივმა გადაწყვიტა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების პროცენტი გაზარდოს 88-დან 90 პროცენტამდე. გეგმის გადამეტებით გაასაღოს 398 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, ამასთან 1,9 პროცენტით დადაჭარბოს ხუთწლედის ოთხი წლის დავალება; 1970 წელთან შედარებით 37,4 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 35,5 პროცენტის ნაცვლად, რომელიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით.

როსტოვის ოლქი

ტაგანროგის ტყავის ქარხნის მუშაებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ვალდებულება ქრომის ტყავის საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე გაზარდონ 7,9 პროცენტით და აიყვანონ 97,8 პროცენტამდე; გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5 მილიონი კვადრატული დეციმეტრი მაღალხარისხოვანი ქრომის ტყავსაჭონელი. წარმოების მოცულობის მთელი მატება უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

როსტოვის საწარმოო გაერთიანება „დონფეხსაცმლის“ კოლექტივმა იკისრა ვალდებულება 1974 წელს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე გაზარდოს 97,4 პროცენტამდე და პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულოს 1974 წლის 29 დეკემბერს, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი; გამოუშვას მხოლოდ უმაღლესი და პირველი კატეგორიის პროდუქცია, აითვისოს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით აღნიშნული ფეხსაცმლის 5 მოდელის წარმოება და 61 პროცენტით განაახლოს პროდუქციის ასორტიმენტი.

შახტინსკის ბამბეულის კომბინატის მუშაკებმა გადაწყვიტეს ნორმატიულ ვადაზე ოთხი თვით ადრე აითვისონ საქსოვი წარმოების მეორე რიგის საპროექტო სიმძლავრეები, დავალების გადამეტებით გამოუშვან 46 ტონა ნართი, 500 ათასი მეტრი ხამი და 100 ათასი მეტრი მზა ქსოვილები. ტექნოლოგიის სრულყოფის, ახალი ტექნიკის ვადამდე ათვისების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების დანერგვის საფუძველზე 1973 წელთან შედარებით 30,4 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. უფრო ფართოდ განავითარონ მოწინავე მუშების შეჯობა, 600-მდე გაზარდონ ახალგაზრდობის დამრიგებელთა რიცხვი.

ინიციატორებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, უზრუნველყოფენ ტექნიკის, მოწინავე გამოცდილების უფრო სრულად გამოყენებას და ამ საფუძველზე კიდევ უფრო გაზრდიან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, გაუმჯობესებენ მის ხარისხსა და ასორტიმენტს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ამხანაგ კირილე ტროფიმეს-ძე მაზუროვს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების სამოც წლისთავს.

გისურვებთ თქვენ, კირილე ტროფიმეს-ძე დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. ტ. მაზუროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. კირილე ტროფიმეს-ძე **მაზუროვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს medali **„ნამგალი და უროო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 5 აპრილი.

ა. ნ. კოსიგინი შეხვდა იაპონიის პრემიერ-მინისტრს კ. ტანაკას

5 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი** შეხვდა იაპონიის პრემიერ-მინისტრს **კაკუეი ტანაკას,** რომელიც პარიზს მიემგზავრებოდა საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობისათვის და გზად ცოტა ხნით მოსკოვში შეჩერდა.

ა. ნ. კოსიგინსა და კ. ტანაკას შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს საკითხები, რომ კიდევ უფრო განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობა მხარეების გეგმებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომლებიც ფიქსირებულია საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1973 წლის 10 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში.

საუბარმა საქმიან ვითარებაში და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით ჩაიარა.

ა. ნ. კოსიგინმა სადილი გაუმართა იაპონიის პრემიერ-მინისტრს.

ამავე დღეს კ. ტანაკა პარიზს გაემგზავრა. (საკდეს).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკა“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა სამეცნიერო-ტექნიკური განათლების საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი **„მეცნიერება და ტექნიკა“** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი,
1974 წლის 5 აპრილი.

კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა

თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

ძმურად გულთბილად და გულითადად შეხვდა 6 აპრილს საქართველოს დედაქალაქი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. პრასპრს მეთაურობით. სტუმრები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირში პოლონეთის კულტურის დღეებში, რომლებიც ეძღვნება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მინისტრის მოადგილე მ. კაჩმარკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ვანტულა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ვარშავის უმაღლესი თეატრალური სკოლის რექტორი მ. ლომნიცკი, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული მუშაკები.

თბილისის აეროდრომზე პოლონელი მეგობრების შესახვედრად შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელიც ვოლგოგრადიდან ჩამოვიდა, დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სსრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩხარტიშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კბილავაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. მნუჩქიძე, ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

(საქინფორმი).

პასუხისმგებლობის კრიჯერიუმები

ე. შევარდნაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი

კადრების აღზრდა ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. ამ პრობლემის დიდი მნიშვნელობა კიდევ ერთხელ მოგვაგონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სტატიამ ამ პლენუმზე. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში კადრების აღზრდის ხერხები და მეთოდები დიალექტიკურად განვითარდა და თვისებრივად სხვაგვარი, უფრო სრულყოფილი და ეფექტიანი გახდა.

პასუხისმგებლობის ამაღლება და, მაშასადამე, მუშაობის კულტურის ამაღლებაც, — ობიექტური პროცესია, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების ბუნებიდან და მისი განვითარების კანონებიდან. მაგრამ ეს წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად იმუშავებენ ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ადამიანებთან მუშაობის მეთოდების სრულყოფისათვის. ეს განსაკუთრებით კარგად ესმის დღეს საქართველოს კომპარტიას, რომელიც ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციური და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელება კომუნისტების პოლიტიკური სიმწიფის შემოწმების სახისჭვა გახდა.

მუშაობის ნამდვილად ლენინური, ჭეშმარიტად საქმიანი სტილი გამორიცხავს შიშველი ადმინისტრირების პრაქტიკას და ამკვიდრებს ადამიანებზე აღმზრდელობითი ზეგავლენის მეთოდებს. ასეთ სტილს, რომელიც ახლა ინერგება სახელმწიფო ცხოვრების ყველა უჯრედში, მოაქვება მართვის აპარატის მუშაობის მეთოდების, მე ვიტყოდი, მეტი ჰუმანიზაცია, მისი საქმიანობის უფრო მაღალი კულტურა. პირველ პლანზე იწევს პასუხისმგებლობის გრძნობა — კომუნისტის შეზნებლის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი თვისება.

ვფიქრობ, რომ ჩვენს პირობებში პასუხისმგებლობის გრძნობა სოციალისტური ჰუმანიზმის განუყოფელი თვისებაა და ამიტომ შედის ჩვენი საზოგადოების მორალურ ღირებულებათა ოქროს ფონდში. ადამიანი, რომელიც მძაფრად გრძნობს, რომ ცხოვრობს ადამიანთა შორის და ადამიანებისათვის, უგულოდ ვერ იმუშავებს.

დარწმუნებული ვარ: ის, ვინც ნათლად ხედავს მიზანს და ირჩევს მისი მიღწევის ყველაზე სწორ გზებს, ვინ შრომაც გაეცსკრთვნებულია თვითეული გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობის შეგნებით, შეძლებს კიდევ უფრო მეტი გაკეთოს საზოგადოებისათვის. და თუ ამასთან ადამიანს შეუძლია მუშაობა ძალღონის დაუზოგავად, შეუძლია სიტკვის გადაქცევა საქმედ, იგი მართლაც ხდება მუშაკი, რომლის მიმართ სავსებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ცნება „პასუხისმგებელი".

ჩვენს დროში, როგორც არასდროს წინათ, დიდი მოთხოვნაა ხალხიან ადამიანებზე. თანამედროვე ცხოვრების დინამიკური რიტმი, რომელიც პიროვნებას ანებებს ყოველნაირ შრომის ეფექტიანობის ფაქტორს, ინფორმაციის სიჭარბე, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ გადაწყვეტილებათა არჩევის დროს, მრავალი ადამიანის შრომის შედეგების უფრო მჭიდრო გაერთიანება ერთ მთლიანობად, რაც გამომდინარეობს სულ უფრო ღრმა სპეციალიზაციიდან, — ყოველივე ეს ახალ, უფრო რთულ მოთხოვნებს უყენებს კადრებს. იზრდება თვითეული მუშაკის მნიშვნელობა საერთო საქმეში — იზრდება მისი პასუხისმგებლობაც. ასეთია ცხოვრების ლოგიკა.

ვ. ი. ლენინმა შემკვიდრეობად დაგვიტოვა აზრების, შენიშვნების, რჩევა-დარიგების ფასდაუდებელი საგანძური, რომლებიც მის ფუძემდებელ ნაშრომებთან ერთად ავლენენ სოციალისტური სახელმწიფოს კადრების დარგში პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მხარეებს. აი ერთ-ერთი მისი შენიშვნა: „...გარკვეული პირი მთლიანად პასუხისმგებელია გარკვეული მუშაობის წარმოებისათვის. მე ვაწარმოებ (ამდენ და ამდენა ხანს), მე ვაგებ პასუხს..."

და განა ეს არ არის შრომის პროცესში პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების კონკრეტული მეთოდი? უნინარეს ყოვლისა ადამიანი უნდა ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომ მან იგრძნოს საერთო საქმისათვის საკუთარი მეცადინეობის, პირადი ღირსებების საჭიროება. და მეორე, მოვთხოვოთ მას ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს. წვრილმანი და დამამცირებელი კი არა, არამედ საგულდაგულო და თავაზიანი კონტროლი, რომელიც აღნიშნავს ოდნავ წინსვლასაც კი, — ასეთი კონტროლი არ ადუნებს პასუხისმგებლობის გრძნობას, პირიქით, თითქოს წვრთნის, სტიმულს აძლევს მას.

ადამიანს — მხედველობაში მყავს მომუშავე ადამიანი, კოლექტივის წევრი, — ზრდის უნინარეს ყოვლისა ამ კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრება, და უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ცხოვრება თვითეულ მუშაკს უდგენდეს მუდმივ მისწრაფებას ზრდისადმი, განვითარებისადმი, ინიციატივის გამოჩენისადმი.

სულიერი განვითარების გარეშე, ისევე როგორც ფიზიკური მოძრაობის გარეშე, არ არის სიცოცხლე. ეს კანონზომიერია როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ისე კოლექტივისათვის. ვერაფერი ვერ შეცვლის მასეინის ინიციატივას, რომელიც მიმართულია ნათელი მიზნისაკენ. ამაში გვარწმუნებს სოციალისტური შეჯიბრების გამოცდილება. აი მაგალითიც. ახლა ქუთაისის საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1974-1975 წლების საგეგმო დავალებათა 45 მილიონი მანეთის გადაკრებებით შესრულებისათვის. ეს ციფრი იმ დიდი და საგულდაგულო მუშაობის შედეგია, რომელიც წარმოების თვითეულ რგოლში გახლეკ. საამქროებში, ჩარხებთან ნამეცც-ნამეცც ეძებდნენ რეზერვებს. ახლა ქალაქში არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო აღარ არის. წელიწადნახევრის წინათ კი 12 იყო. მეტიც, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ ვალდებულებათა გადამეტებით ქუთაისელებმა გამოუშვეს 5 მილიონი მანეთის პროდუქცია. რითი ახსნება ასეთი ძვრები? მხოლოდ იმით, რომ გაიღვიძა ათასობით მუშის ინიციატივამ, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციამ დარაზმა და საერთო მიზნისაკენ წარმართა.

ᲓᲦᲔᲡ ხელმძღვანელობა ერთეულთა ხელდრი აღარ არის. მეგრელურები, ბრიგადირები, ოსტატები, სამუშაოთა მწარმოებლები, დირექტორები ახლა მთელ არმიას შეადგენენ. და ყველას უნდა ახსოვდეს, რომ როცა მას ნდობას აღმოუჩენენ და ამა თუ იმ ხელმძღვანელ თანამდებობაზე აირჩევენ, ამით იღებს მხოლოდ ერთ უპირატესობას: მაქსიმალურად იმუშაოს ხალხის კეთილდღეობისათვის.

მაგრამ აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი უარყოფითი ფაქტი. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეულ პირთა შორის ჯერ კიდევ ცოცხალია ეგრეთ წოდებული „სავარძელმაძიებლობა", როცა მუშაკი ივიწყებს თავმდაბლობას და უსაფუძვლოდ აცხადებს პრეტენზიებს მაღალ თანამდებობებზე. ასეთი მოვლენის განვითარებას საფუძველი შეუქმნა ბევრი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესუსტებამ. პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევას მოჰყვა სერიოზული შეცდომები ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში, მომხვეჭელობის, საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფის სულისკვეთების განვითარება, როცა ზოგიერთისათვის სამსახურეობრივი მდგომარეობა მხოლოდ გარკვეული სიკეთით სარგებლობის საშუალება იყო.

ზოგიერთმა ამ „სავარძელმაძიებელმა" მოახერხა სასურველი პოსტის დაკავება და იქ მოკალათებული ზარალს გვაყენებდა არა მარტო თავისი უმოქმედობითა და უკომპეტენტურობით, არამედ თვით თავისი ცხოვრების მაგალითით, რომელიც მოკლებული იყო საზოგადოების სამსახურის მაღალ აზრს.

მძიმე გაკვეთილი იყო მთელი რესპუბლიკისათვის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ატეტუირეტანა ჩარიცხვისას მექრთამეობისა და პროტექციონიზმის დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებიც ამას წინათ გამომჟღავნდა. მთავარი დამნაშავეები ინსტიტუტის ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ. ისინი თვითონ მდიდრდებოდნენ და ამასთან თავიანთი მაგალითით სხვასაც ასწავლიდნენ წმიდათაწმიდით სპეკულაციას. ახლა ისინი გარიცხეს სკკპ რიგებიდან და გადასცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მაგრამ რა ძნელია იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათმა მრავალი წლის საქმიანობამ მიაყენა რესპუბლიკის მთელ სამედიცინო სამსახურს, იმ მორალური ზიანის გამოსწორება, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას მიაყენეს. ხერიოზული დასკვნები უნდა გამოტანონ ამ ამბიდან ორგანიზაციებმა და პირებმა, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობდნენ მეცნიერების მიტმასნილი ასეთი საქმოსნების მოშრავლებას.

წარსულის შეცდომების გახსენება იმიტომ არის საჭირო, რომ აწმყო ობიექტურად არ არის წარსულისაგან. სწორედ დღეს იჩენენ თავს გუშინდელი შეცდომების შედეგები. ხისხლის სამართალში მიცემულია და კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის (ცეკავშირის) ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი, რომლებიც ფლანგავდნენ, იტაცებდნენ, ანიავებდნენ სახელმწიფო სახსრებს და ჩაშალეს მუშაობა ბევრ მათდამი დაკვეთილ-დებარებულ ორგანიზაციაში.

ამაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ არც გაჩუმება შეიძლება. პარტია არაფერს არ უმალავს ხალხს, რადგან მხოლოდ მასების საერთო მეცადინეობით შეიძლება დავამარცხოთ ბოროტება, მივაღწიოთ მყარ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე. საჭიროა ხანგრძლივი, საგულდაგულო და ამავე დროს ენერგიული მუშაობა სოციალისტური კანონიერების დარღვევათა ყველა შედეგის აღმოსაფხვრელად. და, რა თქმა უნდა, ეს მუშაობა უნდა ვაწარმოოთ არა მარტო მართლმსაჯულების ორგანოების დახმარებით — ეს იძულებითი უკიდურესი ზომაა.

მხოლოდ გამარგალა ვერ უზრუნველყოფს ხასურველ მოსავალს. ბუნებას უნდა დავეხმაროთ ნიადაგის განაყოფიერებაში. ნამდვილ მზრომელ ადამიანებს — წარმოების მოწინავეებს, ნოვატორებს, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს უნდა ვუქმნიდეთ ეშმაკიანად შემოქმედებითი შრომის ხელშემწყობ პირობებს, ვეხმარებოდეთ, ვუქმნიდეთ საყოველთაო სახალხო პატივისცემის ატმოსფეროს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასია კადრის მუშაკთა გამოცდილება და ცოდნა. მათგან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ. ფასდაუდებელია ამათი ცხოვრებისა და შრომის მაგალითი, ვისაც ვერ გასტეხს ვერავითარი სიძნელე, ვისაც არ აშინებს საკუთარ სინდისთან დაპირისპირება.

ხალხის უძლეველი მისწრაფება გადალახოს ყოველნაირი სიძნელენი, რომელსაც განაშტაციებს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, საშუალებას მოგვცემს რაც შეიძლება მალე გადავწყვეტოთ ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაგვისახა დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ეს დადგენილება, რომელმაც გამოავლინა მთავარი ნაკლოვანებანი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, გახდა საქართველოს ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს საბრძოლო პროგრამა. მისი კეთილისმყოფელი გავლენა უკვე იგრძნობა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში.

პლენუმებზე და პარტიულ აქტივებზე, ამას ნინათ გამართულ საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე, საქალაქო, რაიონულ, საოლქო პარტიულ კონფერენციებზე მკაცრად გაკრიტიკეს ის ნეგატიური მოვლენები, რომლებიც რესპუბლიკის ცხოვრებაში ხდებოდა ამ ბოლო წლებში. კომუნისტებმა საკმაოდ სამართლიანად აღნიშნეს, რომ ყველა ეს ნაკლი მნიშვნელოვანწილად აიხსნება ცალკეული ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნებით. მარტო შვიდ წელიწადში, 1966-1972 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით მშენებლობის ეკვმების შეუსრულებლობის გამო რესპუბლიკის მოსახლეობას დაკაკლეთ 1.880 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რის გამოც 30 ათასი ბინა, ამის შედეგად საბინაო პრობლემა ჩვენს ქალაქებში დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას. ამ ბოლო წლებში მთავარ ყურადღებას ვაქცევდით, კერძოდ, ამ პრობლემასაც. 1973 წელს. პირველად ბოლო ათ წელიწადში, რესპუბლიკაში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. ეს კარგი დასაწყისია.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ეგეგმაზომიერად თავისუფლდებიან ახლო წარსულის არასახურველი დანაკლეკებისაგან. ჯანსაღი პარტიული კრიტიკა, კადრების განახლება ხელს უწყობს მათი როლის გაძლიერებას მეცხრე ხუთწლიდის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველყოფაში.

პარტიის კადრების დარგის პოლიტიკა პრინციპული და თანამიმდევრული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნა: „ჩვენ გვეჭირდება ადამიანები, რომლებშიც შერწყმულია მაღალი პოლიტიკური შეგნება და კარგი პროფესიული მომზადება, რომლებსაც შეხწევთ უნარი ხაქმად აქციონ პარტიის იდეები და გეგმები, აშენონ კომუნიზმი.

დღეს აღარ შეგვიძლია ვიმუშაოთ ისე, როგორც გუშინ ვმუშაობდით. ხვალ კი მუშაობის დღევანდელი დონე განვლილი ეტაპი იქნება. ხვალ დღევანდელზე უკეთ უნდა ვიმუშაოთ. როცა რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული კრების, ბიუროს, პლენუმის, პარტიკომის თვითიული გადაწყვეტილება უნდა აუმჯობესებდეს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს პრაქტიკას, თუნდაც ეს იყოს უმნიშვნელო გაუმჯობესება. მხოლოდ ერთი შტრიხი. მაგრამ მაინც იკი უნდა აუმჯობესებდეს ცხოვრებას. ეს და მხოლოდ ეს არის ჩვენი მუშაობის აზრი. ამის მოითხოვს შიმოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ცოცხალი სულისკვეთება.

სასიხარულოა, რომ დიდი პარტიული ორგანიზაციების, მაგალითად, ქუთაისის, ბორისა და სხვა პარტიული ორგანიზაციათა ახალგაზრდა ხელმძღვანელები იჩენენ ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებას — ხიმწიფეს ცხოვრების რთულ პრობლემათა გადაწყვეტაში. ისინი იოფლობენ რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური პროცესების ღრმა პარტიული ანალიზის ხელოვნებას. ყველასათვის ცნობილია, რომ ეს პროცესები ზედაპირზე არ მიმდინარეობს. ამასთანავე ეძებენ მოვლენათა არსს. ეუფლებიან ციფრების ენას და პოულობენ ნეგატიურ ტენდენციათა აღმოფხვრის გზებს. ჩვენ ბევრი კარგი ხელმძღვანელი გვყავს. მათს პასუხისმგებლობას დავალებული საქმისათვის სულ უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ ადასტურებენ თვით საქმეები — ის ძვრები, რომლებიც მოხდა როგორც რესპუბლიკის ეკონომიკაში, ისე ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ 1971-1972 წლებისა ხერხოწელი ჩამორჩენილა, ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დამლევს საქართველომ 7 პროცენტით გაზარდა ხამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა, 6 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება. მეჩაიეებმა ხახელმწიფოს ჩაბარეს 290 ათასი ტონა მწვანე ოქრო, მიაღწიეს ხუთწლედის მეხუთე, უკანასკნელი წლისათვის დასახულ მიზნას. ამ ციფრებს მიღმა ყველა რგოლისა და რანგის მუშაკთა — მუშები და კოლმეურნეები იქნებიან ეს თუ რესპუბლიკური მახშტაბის ხელმძღვანელები — მაღალი პასუხისმგებლობის ათასობით მაგალითია.

1974 წელი ჩვენთვის რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დადებითი ტენდენციის შემდგომი გაფართოების, გაღრმავებისა და დამკვიდრების წელია. მეოთხე, განმსაზღვრელ წელს ჩვენ მოვამზადებთ მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულების რეალური ნინადაგზე. ეს წელი გამოცხადებულია რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის წლად, კონტროლის ხიტტმის, როგორც კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების ხაშუალების, სრულყოფის წლად.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭომ მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ. მასში თეორიულად არის გაანალიზებული რესპუბლიკის ეკონომიკის ხუსტი და ძლიერი მხარეები, დახასიათდა მისი შემდგომი აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმმა, და მინისტრთა ხაბჭომ ეს დადგენილება საფუძვლად დაუდეს ჩვენი კადრების შემოწმებას. ადამიანთა ხაქმიან და პოლიტიკურ თვისებებს და, უწინარეს ყოვლისა, მათი პასუხისმგებლობის დონეს შეავამოწმებთ ხამოლო შედეგებით, რომლებსაც ისინი მიიღწევენ ბრძოლაში პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

წინ ბევრი საქმე მოგველის. რესპუბლიკის კომუნისტებს ღრმად ჩახწვდათ გულში პარტიისადმი, ხაბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართვის ხიტყვები: „ყოველივე, რაც დღეს გვაქვს და რასაც ხვალ მივაღწევთ, დამოკიდებულია თვით ჩვენზე, თვითეულ ხაბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი მუშაობის უნარზე, მაღალ შეგნებაზე. პროფესიულ მომზადებაზე, პასუხისმგებლობის გრძნობასა და დიხციპლინაზე". ეჭვი არ არის, რომ ოთხგზის ორდენოსანი საქართველო, ჩვენი ქვეყნის ხალხებთან ძმური ერთიანობით, კიდევ უფრო ბეჯითად გაირჯება და წარმატებით გაანახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

„იზვესტია", 1974 წლის 6 აპრილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

გაუმჯობესებული საკურორტო მომსახურება

საქართველოს კურორტების ქვეყანას უწოდებენ. შესანიშნავმა ჰავამ, სამკურნალო მინერალური წყაროების მრავალფეროვნებამ მას დამსახურებულად მოუხვეჭა საკავშირო ჯანმრთელობის ჯრის სახელი. რესპუბლიკაში შექმნილია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სხვა საკურორტო დაწესებულებების ფართო ქსელი. ყოველწლიურად იქ 600 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე კურორტობს და ისვენებს. სულ კი რესპუბლიკის კურორტებზე ყოველ წელიწადს ორ მილიონამდე კაცი ისვენებს.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მარტო პროფკავშირული ჯანმრთელობის კერების სიმრავლე რაოდენობა 80 პროცენტით გაიზარდა, ერთიანად გადიდდა კურორტების დამსვენებელთა რიცხვი.

1974-1975 წლებში გათვალისწინებულია ამოქმედდეს ახალი სანატორიუმ-საკურორტო დაწესებულებანი თითქმის 2.600 კაცისათვის. მათ შორის არის წყალტუბოს პანსიონატი, ბორჯომის სანატორიუმი, ქობულეთის დასასვენებელი სახლი და სხვ.

11 მილიონ მანეთზე მეტი ხმარდება ყოველწლიურად ფესპუბლიკის პროფკავშირთა სოციალური დაზღვევის ბიუჯეტიდან მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენებას.

დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ სანატორიუმები — „წყალტუბოს", „მეხატე", ბორჯომის „ფირუზა," ახალი ათონის „აფხაზეთი," მწვანე კონცხის „აჭარა", კურორტ ბაქვნარის პანსიონატები, „კურორტი „ახტალა" და სხვა ჯანმრთელობის კერები, რომლებმაც სამაროლიანად მოიპოვეს საპრიზო ადგილები პროფკავშირულ საკურორტო დაწესებულებათა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამასთანავე მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანიც არის. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა კუთხურობის, ვიწროწყალგზრივ ტენდენციათა, მექრთამეობის გამოვლინების ფაქტები.

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს კურორტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეეწყნარებლად სოსტრ ტემპით ხორციელდება სანატორიულ-საკურორტო მშენებლობა.

მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს დამსვენებელთა სავაჭრო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობა. ბევრ ჯანმრთელობის კერაში ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ კომპლექსური საკურორტო მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს, ბუნებრივ და სამკურნალო ფაქტორებს, იკრძნობა კვალიფიციური სამედიცინო კადრების მწვავე ნაკლებობა.

განსაკუთრებული ყურადღებაა ღირსია კურორტებზე უსაზღვროდ ჩასულ ავადმყოფთა და დამსვენებელთა მკურნალობისა და მომსახურების ორგანიზაციის საკითხები. ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, საკურორტო დაწესებულებების მთელ რიგ ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის, პარტიული ორგანიზაციების მხრივ საათანადო კონტროლის უქონლობის გამო დამსვენებელთა ეგრეთ წოდებული არაორგანიზებული კონტინგენტის ძირითადი ნაწილი დატოვებულია კერძო პირთა ანაბარა, რომლებსაც მათი მომსახურება პირადი შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ. რესპუბლიკის კურორტების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების საკითხები, მათი მდგომარეობა და 1974 წლის საკურორტო სეზონისათვის მზადების ღონისძიებანი განიხილეს თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკურორტო დაწესებულებების წარმომადგენლები.

მოხსენება „კურორტების მდგომარეობისა და მომავალი 1974 წლის საკურორტო სეზონისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ" გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **თ. ი. მოხაშვილმა.**

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი **შ. ი. ჭალაგანიძე,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ი. შ. ზედგინიძე,** აჭარის პროფკავშირთა კურორტების მარრთვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. შ. ახვლედიანი,** საქართველოს კომპარტიის ლიხნაურთის საოლქო კომიტეტის მდივანი **მ. შ. ხვარწკია,** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი **მ. ა. შეგრელიშვილი,** საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. ჩიკვილაძე,** საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი **დ. ა. კაკნაძე,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ო. ა. ქავთარაძე,** საქართველოს სსრ სახმრენის თავმჯდომარე **ი. ნ. ციციშვილი,** გაგრის პროფკავშირთა კურორტების მართვის ტერიტორიული საბჭოს თავმჯდომარე **ა. ი. ბარამია,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ნ. ს. ბურაბანიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ე. ჩერკეზია.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. შ. ნირაძე,** საქართველოს სსრ ენათმეცნიერების მინისტრი **ო. ვ. ჭელიძე,** ბორჯომ-ახალციხის ტურისტული ბაზის „ბორჯომი" ტურისტული ბაზის „ბაკურიანი" ტურისტული ბაზის „ფასანაურის" ტურისტული ბაზის „ბაკურიანი" ტურისტული ბაზის „ბაკურიანი" ტურისტული ბაზის „ბაკურიანი

7 აპრილი გეოლოგიის დღეა

წიაღის მზვერავები

საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა და წარმატებით შეუდგა მეოთხე, განსაზღვრული წლის საწარმოო დავალებათა შესრულებას.

1973 წლის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამი დიდი საბადოს აღმოჩენა და მათი მომზადება ასაფვისებლად. ეს არის ქუთაისის, ოჩამჩირის საკურორტო კომპლექსის და გარდაბნის და მაღნეულის რაიონის სასოფლო და სამრეწველო წყალმომარაგებისათვის განკუთვნილი საბადოები.

დიდი ამოცანები დგას გეოლოგთა წინაშე მიმდინარე ხუთწლედში.

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე გათვალისწინებულია მდ. ყვირილის დერესის და მიმდებარე მარგანეცის შემცავი მოედნების პერსპექტიულობის დადგენა და მარაგის გამოვლინება, რაც შემდგომი გარემოებით არის გამოწვეული: მსოფლიოს ნიშნეულობის ჭიათურის მარგანეცის საბადოს მარაგი წლითიწლობით მცირდება. ახალი მოედნების გამოვლენა კი მეტად ძნელი საქმეა, ხოლო მოპოვებული მარაგების ახლით კომპენსირება შეუძლებელია. საბადოს დეტალურმა ძიებამ, რომელიც ამჟამად ძირითადად დამთავრდა, დამუშავებულ მოედნებზე გამოავლინა მაღალხარისხოვანი მადნების დიდი მარაგი, რომელთა ექსპლოატაცია კვლავ გახდა შესაძლებელი.

აღნიშნული მოედნების ხელმეორედ ძიებისას, გეოლოგები უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ავლინებენ იმდენ მარაგს, რაც მადნის წლიური მოპოვების თითქმის ნახევარს შეადგენს. ამ გეოლოგიურ სამუშაოთა ეფექტი მეტად დიდია, რადგან „ხეცოცხლეს“ უსანგრძლივებს ჭიათურის მაღაროებს.

მაგრამ მარგანეცის მოპოვების შემდგომი ზრდა საქართველოში ახალ საბადოთა გამოვლინებას გვიკარნახებს. გეოლოგები აწარმოებენ ძებნითს სამუშაოებს ჭიათურის მაღაროებელ რაიონებში მარგანეცის ახალი მოედნების გამოვლინების მიზნით. ბოლო წლებში აღნიშნული სამუშაოები იმედის მომცემი გახდა. ე. წ. მდინარე ყვირილის დეპრესიაში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მახლობლად, რომელიც ჭიათურის მადნების ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია, მეცნიერული პროგნოზის შედეგად დახურულ სტრუქტურაში აღმოჩნდა მარგანეცის შემცავი ფენები, რომელთა მადნები ხარისხით უტოლდება ჭიათურისას. ამჟამად მიმდინარეობს ძებნა-შეფასებითი სამუშაოები, რომელთა დასრულება ყვირილის ბოლოს არის გათვალისწინებული, ხოლო საბოლოო ძიება დამთავრდება მომავალ ხუთწლედში. გათვალისწინებულია აგრეთვე გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოება ბოლნისის რაიონში მადნეულის სამთო გამამდიდრებელ კომბინატის ნედლეულის ბაზის გასაფართოებლად. მადნეულის ბარიტ-პოლიმეტალური და სპილენძის საბადოს გამოვლინება ქართველ გეოლოგთა დიდი მიღწევაა. ამ საბადოს ბაზაზე მიმდინარეობს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. კომბინატი საკმაოდ დიდ წარმოებად ზოგვეულინება, მაგრამ გეოლოგებმა განჭვრიტეს მისი მასშტაბების გაზრდის შესაძლებლობანი და მის მახლობლად ბოლნისის რაიონში ახალ საბადოთა აღმოჩენის გვპირდებიან.

დიდი მასშტაბის სამუშაოებია გათვალისწინებული მიწისქვეშა მტკნარი სასმელი, მინერალური და თერმული წყლების გამოსავლენებლად. ბოლო წლებში ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შორის მნიშვნელოვანია მთელი რიგი ქალაქების, კურორტების და სამრეწველო საწარმოების უზრუნველყოფა სასმელი და ტექნიკური წყლის დამატებითი რესურსებით. ასეთი სამუშაოები ჩატარებულია და წარმოებს სოხუმის, ქუთაისის, გორის, ჭიათურის, ბათუმის, კაზრეთის და სხვათა წყალმომარაგებისათვის.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები სამშენებლო მასალებზე, რომელთა შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო მასალათა მრეწველობა ძირითადად უზრუნველყოფილია მინერალური ნედლეულით. მაგალითად, წარმატებით არის გადაჭრილი მწვავე პრობლემა სამშენებლო ინდუსტრიის ბეტონის მსუბუქი შემავსებლებით უზრუნველყოფისათვის. გამოვლინებულია დიდძალი ძარაგი ჯავახეთში სამშენებლო მასალებზე მუდმივად მზარდი მოთხოვნილება განაპირობებს ძებნით და ძიებით გეოლოგიურ სამუშაოთა შემდგომ გაძლიერებას. ეს პირველ რიგში ეხება საცემენტე ნედლეულს კასპის ცემენტის ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა ნავარაუდევ მკვეთრ გაზრდასთან დაკავშირებით. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძიებითი სამუშაოები საცემენტე ნედლეულზე აღნიშნული ქარხნის რაიონში.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ახალ ამოცანებს უსახავს ქართველ გეოლოგებს. დროთა განმავლობაში მოთხოვნილება მინერალურ ნედლეულზე და მის ახალ სახესხვაობებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულის გათვალისწინებით გეოლოგთა მთავარი საზრუნავია უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარების საჭიროებანი. ამ მიზნით ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ წოდების დაწესება, რომელიც მრავალ გეოლოგს აქვს მინიჭებული.

საქართველოს გეოლოგიური სამსახური ყოველ ღონეს იხმარს რომ ახალ წარმატებებს მიაღწიოს მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრულ წელს.

ბ. გუჯეჯიანი,
საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსი.

დარღვევანი და დამახინჯებანი უნდა აღიკვეთოს

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი საქალაქთტექმომსახურების სამმართველოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ვ. ხობოლევმა აღნიშნა, რომ სამმართველო (უფროსი ა. მიქაუტაძე) ვერ უზრუნველყოფს სწორ ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ობიექტებისადმი, ვერ წარმართავს მათ მუშაობას თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე.

ერთი შეხედვით, სამმართველო, მისი საწარმოები ყოველწლიურად ასრულებენ გეგმებს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა. ამ მორჩენებითი წარმატების მიღმა დიდი და სერიოზული ნაკლოვანებანი, დარღვევები იმალება. ეს ნაკლოვანებანი სამმართველოს მუშაობის ყველა დარგში იგრძნობა.

სამმართველოს მიერ ყოველწლიური გეგმები მოსახლეობის მომსახურების სწორი ორგანიზაციითა და მისი სისტემატური გაუმჯობესების შედეგად კი არ სრულდება, არამედ ხშირად მიწერებით, არასწორი ოპერაციებით. კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით. აქ ავტომანქანების დეფიციტურ კვანძებსა და აგრეგატებს, უმატებდნენ რა დაყენების ფასებს, პირდაპირ ყიდდნენ მომხმარებელზე, ამით ხელოვნურად აკოწიწებდნენ გეგმების შესრულების მარკეტებებს. 1972 წელს სავაჭრო ქსელში ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების მწვავე ნაკლებობა იგრძნობოდა. სამმართველოს ხელმძღვანელობა ამას ხელოვნურად ქმნიდა. ამით ხელს ითბობდნენ მომხვეჭელები, სპეკულანტები. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა საქალაქთტექმომსახურების ობიექტებში მილიონობით მანეთის ზენორმატული ნაშთი აღირიცხებოდა. როცა შემდეგ საჭირო გახდა ამ ნაშთის ლიკვიდაცია, 1973 წელს ტექმომსახურების საოგურებში სათადარიგო ნაწილების არასწორი გზებით გაყიდვა დაიწყეს. ამით, რა თქმა უნდა, ხელოვნურად იქმნებოდა გამოძალვის, სპეკულაციისა და სხვა დანაშაულობათა ჩადენის შესაძლებლობა.

სამმართველოს ხელმძღვანელობის მანიერი მუშაობის შედეგად ნამდვილი ქაოსი იყო შექმნილი ფონდების განაწილებაში. ფონდები ნაწილდებოდა სამინისტროსა და სამმართველოს ზოგიერთ ხელმძღვანელთა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის მუშაკთა პირადი სურვილის მიხედვით. სერიოზული დარღვევები იყო დაგეგმვაში, საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმეში. სულ უფრო იზრდებოდა დებიტორული დავალიანება.

უკონტროლობისა და წაყოლების შედეგად ტექნიკური მომსახურების სადგურებში გამეფებული იყო მომხვეჭელობის, მოტყუების, გამოძალვის უხეში ფაქტები. ამახინჯებდნენ საპრეისკურანტო ფასებს, ტარიფებს, გაუფორმებლად იღებდნენ შეკვეთებს.

დადგენილია, რომ 1973 წელს სხვადასხვა მარკის მსუბუქი ავტომანქანების 80 ძარადან უმრავლესობა უკანონოდ არის გაყიდული. ავტომანქანის ეს ძვირფასი ნაწილი იყიდებოდა საეჭვო პირებზე. ამას ადასტურებს ის, რომ ბევრი მათგანი, ვინც ავტომანქანის ეს ნაწილი შეიძინა, არასდროს ყოფილა მანქანის მფლობელი. ტექნიკური მომსახურების სადგურში გაფლეთილი ძარების მყიდველები სრულებით არ ცხოვრობენ იმ მისამართებზე, რომლებიც ქვითრებშია ნაჩვენები, ხოლო ზოგიერთი ავტომანქანის ნომერი, რომელიც ამავე ქვითრებში არის ჩაწერილი, ათი და მეტი წლის წინათ გაუყიდიათ პატრონებს. ერთი სიტყვით, სამმართველოს ხელმძღვანელთა ხელისშეწყობით ავტოტექმომსახურების სადგურებთან ურთიერთობა ჰქონდათ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სასპეკულაციოდ და გასამდიდრებლად იძინდნენ მანქანათა ნაწილებს. აქედან ნათელია და გასაგებია, თუ ასეთი ოპერაციებით ვინ ითბობდა ხელს.

კოლეგიაზე ისიც ითქვა, რომ საქავტოტექმომსახურების სამმართველოში უხეშად ირღვეოდა შრომითელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესები. 1973 წლის პირველ ნახევარში აქ შესული 82 განცხადება, რომლებითაც მოქალაქეები ავტომანქანის ნაწილებს ითხოვდნენ, უძარავად, განუხილავად მაუქვეშე იყო ამოდებული.

უხარისხოდ ეწყობოდა საკონტროლო-სარეგისტრაციო სამუშაოები, ზერელედ იხილებოდა საჩივრები, იჭქალებოდა დამახინჯებების, დარღვევების და გაფლანგვის ფაქტები. რევიზიის აქტების განხილვას თვეობით აჭიანურებდნენ, არევ-დარევა იყო კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. მუშაკების მიღებას, გადაყვან-გადმოყვანას ხშირად ახდენდნენ არა კვალიფიკაციისა და საქმიანი თვისებების მიხედვით, არამედ მეგობრული და საქმოსნური ურთიერთობის საფუძველზე. სამუშაოზე ეწყობოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საქმე კი არ აინტერესებდათ, არამედ გამორჩენისთვის უფრო ზრუნავდნენ და ფიქრობდნენ. სისტემაში ბევრია ადრე ნასამართლევი, სხვა სამუშაოზე შერცხვენილი მუშაკები, ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავისი ბალანსებით არავითარი საერთო არა აქვს ამ დარგთან. ყოველივე ამ დარღვევებსა და დამახინჯებებს რატომღაც არ ამჩნევდნენ და არ აღიკვეთავდნენ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და მისი განყოფილებები.

კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა საქავტოტექმომსახურების სამმართველოში შექმნილ მდგომარეობაზე და სერიოზულ დარღვევათა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა დაშვებისათვის სამმართველოს უფროსი ა. მიქაუტაძე მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან დასახა ღონისძიებანი სამმართველოს მუშაობაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კოლექტიური რეპორტაჟი

გასაუბრება ენგურთან

მოხვალ,
მობღავი,
ტალღებს მორეკავ,
ჩერდები, გახრჩობს სიტყვა სათქმელი,
არა გჩვევია მუხლის მოდრეკა,
შენში ჩქეფს სისხლი, სისხლი ქართველის!
თავს დაგტრიალებს აჩრდილი იქვის,
თავზე გადგანან მთები ჩრდილებად.
მე მესმის შენი, შენც ჩემებრ გიჭირს,
მუხლის მოდრეკა, სხვის მორჩილება!

ვიცი, გაბრაზდი აქ მე რომ მნახე,
ვიცი, შლეგი და მუხლმოუღლელი,
ვერ ეგუები ამ ცივ არტახებს,
გიმძიმს, გიყ მოზვერს, ზიდვა უღელის.
ვიცი, მიწყრები, რომ მე ვარ კაცი,
კაცი, რომელმაც წაგართვი შვება,
არ შეგიძლია მარჯვნივ და მარცხნივ,
ტალღის შემართვა-შეთამაშება.
შენში მებრძოლი ვაქაცი ქრება,
გიმზერ ვით მონას მე — უმორჩილესს,
არა, ენგურო, ეს არ იქნება,
მე, მართალია, დაგიმორჩილე,
მაგრამ ნუ ფიქრობ: — სიმართლეს ვმალავ,
ან შენს წინაშე დღეს თავს ვიმართლებ,
დაგიმორჩილე, რომ შენი ძალა
იქცეს სითბოდ და, იქცეს სინათლედ!

ენგურო, განა დღეს დრო იქვის?
მალე მოგორჩენ გულის ჭრილობას,
რა ვუყოთ, მიჭირს, რა ვქნა, მეც მიჭირს,
მუხლის მოდრეკა, სხვის მორჩილება,

მაგრამ არ ვხდები მე დარდის ლუკმა,
არც წუწუნს ვიწყებ ლაჩრის იერით,
მისთვის ვჩერდები, ან ვიწევ უკან,
რათა ნახტომი მქონდეს ძლიერი.

მინდა ზღაპარი გაგინამდვილო,
შენს ძახილს დიდი ექო რომ მოჰყვეს,
ვერ გაპატიებ ეგრე ადვილად
სვანეთის მთებში გამოზრდილ მოყმეს,

არ უსწორებდე თვალს დღეთა კაშკაშს
და ეძლიოდე დარდს, მწუხარებას.
მეტი რა გინდა?! მოგანდეს ვაქაცს,
მამულის მძიმე უღლის ტარება.

მარად ლაღი და მუხლმოუღლელი,
მსურს მქუხარებდე კვლავაც ნებისად,
ეს მე გიბოძე არტახ-უღელი,
ანუ, — ეს ძეგლი უკვდავებისა!

ეს ჩვენი დროის არის ვარძია

ვინ იფიქრებდა ამაზე გუშინ,
დღე,
დღე ნახე რა ძალით გუბუნებს.
გაუბურღიათ და მთების გულში
მხრებით შემოდის ეს საუკუნე!

ახლა დრო ანთებს აქ ამ კელაპტრებს,
მთის გული ათას თვალებით ელავს,
ხვალ კი...
ხვალ უფრო ბევრი შენატრებს,
ცეცხლის ფაფარა კოხეთის მერანს.

ოცნების ფრთები მეც აქ გავშალე,
გაოცებული დავრჩი ამ დილას.
ვნახე, ხვიდან თეთრი კაშხალი
ორბივით მაღლა ამოვარდნილა.

ვთვალე,
ვთვალე
და ვეღარ დავთვალე
ვერც მეგვარაპე,
ვერც კირითხურო.
ეს არის მგოსნის და მუშის ვალი, —
რასაც მსახურობ, კვლავ ემსახურო.
მე ახლა ყველას გულისთქმა მესმის,
ყველა ერთ სურვილს დაუხანძრია: —
სახელად ჰქვია თუმც ენგურჰესი,
შენდება ჩვენი დროის ვარძია.

ხელები

ნუგზარ ჭანტურიას კლდეზე მცოცავთა კომკავშირული ჯგუფის წევრებს.

ცაში ჰკიდიან კლდეზე მცოცავნი,
ცაში უჭირავთ ბიჭები თოკებს.
აბა, მოდი და გამოიცანი,
ამ ლტოლვას ახლა რა დაოკებს.
კლდეს ამაგრებენ კლდეზე მცოცავნი, —
არ ჩამოინგრეს სუსტი ჭანები!
ო, ამ ხელებს მე ვარ მლოცავი,
ამ აღტყინების,
ამ გაჭანების!
ხელები, — რასაც ვერ აკრთობს კლდენი,
ხელები, — რამაც ცამდე აგვიზიდა,
ხელები, — ყველა ტკივილს რომ შველის,
სავსე ძალით და სავსე აზრითა.
ხელები, — მარად მამულს ზრუნვით
და სიყვარულით განახელები.
ფრიალა ყანა და მწიფე პური
არის ხელები, — კაცის ხელები!
შვიდ საოკრებს იცობს ქვეყანა,
ხალხს გააოცებს ახლა რომელი.
უკვირს ცას, უკვირს მიწას, მზე-ყანას,
მხოლოდ ხელების, — დაუდგრომელის!
და ნუ დამრახავთ ნურავინ ახლა,
თუ მხახეთ გრძნობაგანახელები,
ვიყავ ენგურზე და თვალით ვნახე,
რას აკეთებენ კაცის ხელები.
ზღაპარი გახდა აღარაობა,
რასაც უსმენდა მთელი მთა-ბარი.
მე დამიჯერეს ჩემი თაობა: —
კაცის ხელები, — აი ზღაპარი!
მხოლოდ ხელები, — მამულზე ზრუნვით
და სიყვარულით განახელები.

მაგრამ ამ ქვეყნად არსებობს ჭორვი
და მასაც ქმნიან კაცის ხელები!
მას თითქოს დღემდე ვერ შეუტყვია,
რომ დამწკარ ველზე არ ჰყვავის ია,
არის ხელები, ბავშვს უშენს ტყვიას
და მასაც კაცის ხელები ჰქვია.
როდის მორჩება ომი და დელგმა
და სისხლით თრობა ავმზარახველობის,
იყო მოსკოვის მოსპობის გეგმა
და მას ადგენდნენ კაცის ხელები
ხელი, რომელიც ქალაქებს ბომბავს,
გთხოვთ,
კაცის ხელის ნუ არქმევთ სახელს,
მსოფლიო ფრტვინავს,
მსოფლიო ბორგავს,
მსოფლიო არცხვენს,
მსოფლიო ამხელს: —
აწვდილა ხელი ავის მთესველის,
მაოცებს თავის წესით და რიგით.
აწვდილა ხელი ენგურჰესელის
და სულ სხვაგვარად მაოცებს იგი!
და დამდევს ნატვრად, ფიქრად, ოცნებად,
ჩვენი შვილები, ბოლოს და ბოლოს,
ხელების მხოლოდ ერთ საოცრებას,
ერთ საოცრებას იცნობდნენ მხოლოდ!

ეს ჩვენი დროის ირმები

ძველად ირმები დილაადრიან,
მოადგებოდნენ ქარაფს ფრიალოს,
ან შეხვდებოდნენ ამინდს მაღლიანს,
ან მონადირეს, მოხეტიალეს.

შეშფოთდებოდა თოფის ხმით, ალბათ,
ლრუბელი — მთებზე გადმონაწვენი.
ახლა კი, შეხე... მაღლა და დაბლა,
ირმების ნაცვლად დგანან ამწენი.

ეს პეიზაჟის შეცვლა რას ნიშნავს,
ქარი მაერში გაბმულ თოკს არწევს
და როგორც ირემს,
ამ დროის ნიშანს, —
მოუღერია კისერი ამწეს.

ირმის თვისება ვინ მისცა ამწეს,
ხან მთაზე ადის, ხან ხევში ჩადის,
ენგურს ბეტონის აკვანში არწევს
ამწე, — თამადა ამ დიდი ნადის!

არც ელვა აკრთობს, არც ქარის ხვნეშა,
არიან მთები განაკვირვები...
და ამწეები ენგურის ხევში
დადიან ლაღად, როგორც ირმები.

ქუდზე კაცი

ახსოვს მთა-ბარს,
ეზოს,
ოდას,
დღე პირქუშა,
დღენი მკაცრი.
ერის კაცი ერს უბმობდა:
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!
ამერ-იმერს გაისმოდა,
აწყდებოდა ეზო-ბექობს:
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!
წამოდექო.

ხან მარაბდა, ხან ცრწანისი,
ხან დიდგორი, ხან სამგორი...

იღვრებოდა ქართველთ სისხლი,
იდგა მთები მტერთა მძორის.

რომ ჩვენს ეზო-კარს და ოდას,
არ ეხილა ფერფლი ნაცრის,
ამა ძმის გვერდით მოდიოდა,
მოდიოდა — ქუდზე კაცი!

მოდიოდა თბილისიდან,
მიდიოდა ბოლნისიდან,
მოდიოდა ზუგდიდიდან,
მოდიოდა სიღნაღიდან...
საქართველოს იცავდა და —
ქართველს, ალბ, რა დაღლიდა?!

არვის შეეხვდით ჩვენ პირშავად,
მისთვის ეცოცხლობთ და ეკანმრთელობთ,
საქართველოს დასაცავად,
იდგა მთელი საქართველო!

რაც რომ მიწა გვირწყავს სისხლით,
გვეყო, უკვე დროს ჩაბარდა,
ახლა გვაქვს სულ სხვა ცრწანისი,
სხვა დიდგორი, სხვა მარაბდა.

დაუბრუნდა ქარქაშს ხმალი,
დაგვავიწყდა დღენი მკაცრი.
მაინც ისმის მთელი ძალით:
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!

— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!
ედებოდა მთებს და ბექობს:
— ენგურისკენ!
— ენგურისკენ!
— ქუდზე კაცი! წამოდექო.

განა მარტო თბილისიდან,
განა მარტო ბოლნისიდან,
განა მარტო ზუგდიდიდან,
განა მარტო სიღნაღიდან?..
დონბასიდან,
კუზბასიდან,
ყველა გზიდან, ყველა მხრიდან
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი, წამოვიდა...
უფრო მეტი, ვით მარაბდას,
ანდა კრწანისს, დიდგორ-სამგორს,
ბირს ღამილი უფარავდათ
და უძღვნიდნენ ენგურს ამბორს.

ყველა ერთ დიდ მწყობრში ჩადგა,
არ დავდილვართ მათი ძებნით.
მოდიოდნენ ბევრნი, რადგან
დღეს ბევრი გვყავს უფრო ძმები.
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი!
— ქუდზე კაცი! — ითქვას ერთი,
ძველად მთელი საქართველო,
ახლა მთელი საბჭოეთი
წავა ერთი მისამართით,
ყველა ერთად, ერთად ყველა.

შეხეთ, უნგურს თავს დაპნათის,
მათი ძმობის ცისარტყელა.

შენს თვალში ვნთო!..

ომარ ბოგოხიძეს — სახელოვან გვირაბგამყვანს, შრომის ჩითელი დროშის ორდენოსანს

ინგირიშის და წულიშის მთები,
შემოგვხვდნენ ფიფქთა აქარბუქებით.
ჩვენ დავდიოდით გულანანთები
და ენგურელებს გარჯას ვუქებდით.

ეზო-კარივით ნაცნობი იყო
შენთვის ამ მღვიმის გზათა სიგრძენი.
არ დაგვცდენია ამაზე სიტყვა,
არ დაგვცდენია... მაგრამ ვიგრძენი.

— არ შეხვდებაო, ვინა თქვა, მთა-მთას,
შენ ხომ შეხვენი მიწის კარედი
და ზღაპრულ გზებით კი არა, მართლაც,
მართლაც, ზღაპარში დამატარებდი.

ჰა, გზა, მთა-მთასთან რომ შეაერთა,
და კაცებივით დაამობილა.
იდექი ახლა ამ მთებთან ერთად
და საუბრობდი ხმაშეწყობილად.

გვეგებებოდა ფერები მკვეთრი,
ქანები, — ლოდიდან ჩამონაშალი.
მე მომეჩვენა, თვალებში გენთო,
შუქი მზისა და შუქი კაშხალის.

მე მომეჩვენა, ირგვლივ რაც არი,
ვით ბატონ-პატრონს, გმორჩილებს შენა!

* * *

იქნება, მართლაც, იყო ამგვარად,
იქნება, სულაც არ მომეჩვენა.

ბერდია ბერიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
ენგურჰესი.

მსოფლიო დღეს

ტელეტაიპის ლენტიდან

შეწყდეს ხუნტის დანაშაული

პრაღა, 6 აპრილი. (საკდესი). **პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარეს და იუნესკოს გენერალურ დირექტორს გაუგზავნა დეპეშები, რომლებშიც სთხოვს მოსთხოვონ ჩილეს სამხედრო ხუნტას დოსონის კუნძულზე მყოფ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება. უნდა მივაღწიოთ, რომ შეწყდეს ხუნტის დანაშაული ჩილელ პატრიოტთა მიმართ, ხაზგასმულია დეპეშებში.**

შეხვედრა ჟენევაში

ჟენევა, 6 აპრილი. (საკდესი). **აქ გაიმართა შვეიცარიის შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრების პ. ჰოფერისა და ა. ჰედიგერის შეხვედრა ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრთან ვ. ტეიტელბოიმთან.**

როგორც გაზეთი „ვუა უვრეირი“ იუწყება, ამ შეხვედრის დროს ვ. ტეიტელბოიმმა შვეიცარიელ ამხანაგებს უამბო ჩილეს სამხედრო ხუნტის რეპრესიებზე ამ ქვეყნის პატრიოტთა წინააღმდეგ.

ათასობით პატრიოტი დახოცეს, ათიათასობით ჩაყარეს საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მკვლელები ფიზიკურ მოსპობას უპირებენ ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანსა და სახალხო ერთიანობის კოალიციისა და პარტიების სხვა ხელმძღვანელებს, აღნიშნა ვ. ტეიტელბოიმმა.

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა, აღნიშნავს გაზეთი, ხაზი გაუსვეს რომ ჩილელ პატრიოტთა გადასარჩენად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სოლიდარობის გაძლიერებას.

რ. ნიქსონი—პარიზში

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟორჟ პომპიდუს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობისათვის პარიზში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი.

საზოგადოებრიობის პროტესტი

ბონი, 6 აპრილი. (საკდესი). **დამთავრდა „რადიკალური ელემენტების შესახებ დადგენილების“ წინააღმდეგ მოქმედების კვირეული, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართა.** როგორც ვიუწყებოდით, ამ დადგენილებას, რომელიც 1972 წელს მიიღეს დასავლეთ გერმანიის მხარეთა პრემიერ-მინისტრებმა, რეაქცია იყენებს კომუნისტებისა და სხვა ნამდვილი დემოკრატების დევნის გასაძლიერებლად.

პამბურგში გაიმართა „პროფესიათა აკრძალვის წინააღმდეგ მებრძოლი“ ორგანიზაციის სამუშაო კომიტეტის სხდომა, რომლის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო ფართოვდება ბრძოლა კომუნისტებისა და სხვა პროგრესული მოღვაწეების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დაამტკიცეს ახალი მთავრობა

ლუანგპრაბანგი, 6 აპრილი. (საკდესი). ლაოსის მეფემ შრი სავანგ ვატანამ დაამტკიცა ქვეყნის ახალი დროებითი კოალიციური მთავრობისა და ეროვნული საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა პრინცი სუვანა ფუმა, ხოლო ეროვნული საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე — პრინცი სუფანუვონგი.

შეხვედრები პარიზში

პარიზი, 5 აპრილი (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ვიზიტით ეწვია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითს შემსრულებელს, სენატის თავმჯდომარეს ა. პოერს.

სსრ კავშირის სახელმწიფო დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა ხალხის სახელით მიუსამძიმრა ა. პოერს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟორჟ პომპიდუს გარდაცვალების გამო.

საუბრის დროს ნ. ვ. პოდგორნი და ა. პოერმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ნ. ვ. პოდგორნის ახლდნენ სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანაშემწე ვ. ვ. კორტუნოვი.

იმავე დღეს ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა და ესაუბრა საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ე. ფორს.

სამგლოვიარო ცერემონია პარიზში

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის სახელმწიფო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი და სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო, დღეს დაესწრო პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო ცერემონიას ნოტრ-დამის ტაძარში.

ცერემონიის მონაწილეთა შორის იყვნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ა. პოერი, საფრანგეთის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ პ. მესმერის მეთაურობით, ეროვნული კრების თავმჯდომარე ე. ფორი, საფრანგეთის სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

ნოტრ-დამში გამართულ ცერემონიაზე იყვნენ აგრეთვე მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს დელეგაციები.



ჰოლანდია. ადინის პარიზის კომუნის სახელობის გემთსაშენში იგება გიგანტური, 105 ათასი ტონა წყალწყვეტის სატვირთო ხომალდი, რომელიც შემკვეთს — საბჭოთა კავშირს ჩაბარდება ამა წლის სექტემბერში (სურათზე). ხომალდის 245 მეტრი სიგრძის ფოლადის კორპუსზე წარწერილი იქნება მისი სახელწოდება „სიმონ ბოლივარი“ საზღვაო გიგანტის 23.300 ცხენისძალიანი ძრავა უზრუნველყოფს ხომალდის 16 კვანძ სიჩქარეს საათში.

გემის კაიუტებსა და სასამსახურო განყოფილებებში დაიდგმება ხელოვნური კლიმატის დანადგარები.

ცაფ-საკდესის ფოტო.

პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 5 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ო. შიროკოვი გვატყობინებს:

აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 5 მაისს გაიმართება პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური.

თუ პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების ათსოლუტურ უმრავლესობას, რაც არჩევისათვის აუცილებელია, 19 მაისს გაიმართება არჩევნების მეორე ტური, სადაც საკმარისია ხმების შეფარდებითი უმრავლესობის მოგროვება.

გადაწყვეტილება პრეზიდენტის არჩევნების მოწყობის ვადების შესახებ მიიღეს დღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.

ახლა საფრანგეთის საშინაოპოლიტიკურ ვითარებას ახასიათებს პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების აქტიურობა. წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურ გახსნამდე მთელმა რიგმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გამოაცხადეს, რომ გადაწყვეტენ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

წამოყენებულია უკვე შვიდი კანდიდატურა. მათ შორის არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი უკ შაბან-დელმასი და ეროვნული კრების თავმჯდომარე ედგარ ფორი. ვარაუდობენ, რომ მათ შეუერთდება აგრეთვე

პოლონეთი — საქართველო

ფესვგადგმული მეგობრობა

როდესაც, ვეცნობით პოლონელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება იმ დიდ მსგავსებას, რომელიც მას ქართველი ხალხის ასევე მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან აქვს. საუკუნეების მანძილზე პოლონელი ხალხი, ისევე როგორც ქართველები, ინარჩუნებ ულმი ერგვარად იბრძოდა ოკუპაციისა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის. განსაკუთრებით მძაფრი იყო ეს ბრძოლა XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ორივე ქვეყანას ოსმალთა იმპერია გაეუწყვეტელი თავდასხმებისა და დაპყრობით ემუქრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანას მრავალჯერ განუცდია ძალადობის ეპოქა, არც პოლონეთში და არც საქართველოში არასოდეს არ შეწყვეტილა მჩქეფარე ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მაჯისცემა. მართლაც განუზომლად დიდია ის წვლილი, რომელიც შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში პოლონელი და ქართველი ხალხების შემოქმედებითმა გენიამ. რამდენს მოქმედი სახელები ისეთი სწორუპოვარი მოდგენწყვიანია, როგორიც იყვნენ მიკოლაი კოპერნიკი, ადამ მიცკევიჩი, ფრედერიკ შოპენი, იულიან სლოვაცკი, ჰენრიკ სენკევიჩი, შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ზაქარია ფალიაშვილი და სხვ.

საუკუნეების სიღრმეში მიდის პოლონელი და ქართველი ხალხების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში კარგად იცნობდნენ საქართველოში „ლეხთა ქვეყანას“ და ცდილობდნენ მასთან მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის დამყარებას.

მე-16 საუკუნის პოლონელი ისტორიკოსები მარჩინ ბიელსკი და მაჩეი სტრიიკოვსკი თავიანთ „მსოფლიო ქრონიკებში“ მრავალ საინტერესო და ორიგინალურ ცნობებს გვაწვდიან ძველი საქართველოს შესახებ.

XVII-XVIII საუკუნეებიან პოლონურ ლიტერატურაში მრავალი საინტერესო მასალა შემონახული საქართველოს შესახებ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოლონელი მისიონერის თადეუშ კრუშინსკის შრომები ლაინურ ენაზე, რომლებიც ძვირფას ცნობებს შეიცავენ მე-17 საუკუნისა და მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან თავიანთი რელაციებში პოლონელი მისიონერები იგნაცი ზაპოლსკი, ილ გოსტკოვსკი, ივნაცი ვიენერკოვსკი. საინტერესოა, რომ იგნაცი ზაპოლსკი 1703 წელს გარდაიცვალა თბილისში და აქვე იქნა დაკრძალული კაპუცინთა ეკლესიის ეზოში.

მე-19 საუკუნეში, ისე როგორც საქართველო, პოლონეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მეფის რუსეთის საზღვრებში მოექცა, რამაც, ცხადია, გამოიწვია პოლონელი და ქართველი ხალხების კიდევ უფრო მეტი დაახლოება.

მრავალი პოლონელი იმყოფებოდა საქართველოში განსაკუთრებით 1830-1860-იან წლებში. ამ პერიოდში სულ უფრო მეტი ნაშრომები იქმნება საქართველოს შესახებ. პოლონელ ავტორთა შორის უნდა დავასახელოთ: სტანისლავ ნოვიაკი, ლეონ იანიშევსკი, ქსაფერი პეტრაშკევიჩი, ადამ იძკოვსკი, ვლადისლავ სტაშელნიცკი, იულიუშ სტრუტინსკი, რომელიც კლონოფსკი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კაზიმეჟ ლაპჩინსკის მიერ საქართველოს აღწერა. ლაპჩინსკი იყო არა მარტო გამოჩენილი ბოტანიკოსი, რომელიც სწავლობდა კავკასიის მცენარეულობას, არამედ ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნეც. მან პირველმა თარგმნა პოლონურ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ასევე დიდი ყურადღების ღირსია მატეუშ გრალევსკის შესანიშნავი წიგნი „კავკასია“, რომელიც 1877 წელს დაიბეჭდა.

მე-19 საუკუნის პოლონელი მკითხველი საქართველოს საკმაოდ დაწერილებით იცნობდა მეცნიერ-გეოგრაფთა გ. კლოდენისა და ფრ. ანსარტის თხზულებებიდან.

ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა არტურ ლაისტმა 1883 წელს ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოსცა „ნარკვევები საქართველოდან“, რომელიც სხვათა შორის შეიცავს ქართული ეროვნის შესანიშნავ ანთოლოგიას. მასში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ლექსების საუცხოო თარგმანები.

თავის ხმრივ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს პოლონეთის ცხოვრებას ქართველი საზოგადოებრობა. მაგალითად, 1863 წელს ჟურნალმა „საქართველოს მოამბეთ“ გამოაქვეყნა პეტრე ნაკაშიძის „საზეგზავნო წერილები“, სადაც დიდი გულთბილობითა და სიმპათიით ამბის გადმოცემული 1863 წლის პოლონეთის აჯანყების ამბები.

საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებაა ძმობა ამ აჯანყებისადმი სოლიდარობასა და ზნორდაჭერაზე მეუფეთაგან ის ფაქტი, რომ 1863 წლის გაზაფხულზე, როგორც ეს გამოიკვლია ცხოვრილმა ქართველმა მკვლევარმა აჭ განსვეტულმა ალბინ ბუცაშვილმა, თბილისში შეგროვილ იქნა ძნიშვნელოვანი თანხა აჯანყებულ პოლონელთა დასახმარებლად და მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, იგი დასაშნულებისამებრ გადაეცა პოლონეთის ცენტრალურ სახალხო კომიტეტს ვარშავაში.

თანამედროვე მეცნიერთა შორის მნიშვნელოვანი გაკოკვლევები პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ გაკეთებულნეს პროფესორებმა ი. ციხაძემ, გ. გოზალიშვილმა, ზ. ვეფხვიაშვილ, აგრეთვე ნ. ნიკოლაიშვილმა, სტ. რავიჩმა, პროფესორმა ბოგდან ბარანოვსკიმ, იან რეიხმანმა, მეწერსლავ ინგლოტმა, ეაცლავ კუბაკიმ და ვლადისლავ ბორტნოვსკიმ.

გადაკეთებულია ალიანძაგია პროფესორ ვლადისლავ ბორტნოვსკის ნაშრომი „ქართველების მონაწილეობა პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში 1941-1944 წწ“. ამ შრომაში ნაჩვენებია პოლონეთის მიწაზე გაჩაღებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში საბჭოთა ადამიანების და მათ შორის ქართველი მებრძოლების თვალსაჩინო როლი. მრავალი ქართველი მებრძოლი გმირული შემართებით ღვრიდა სისხლს ძმძე პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის. ამ მებრძოლთა შორის იყვნენ მაიორი გიორგი დუბაშვილი, სიმონ ჩიქოვანი — იგივე „კაზიკ ქართველი“, ვალერი გედიძე, გიორგი გუდაშვილი, ვასილ მანჯავიძე, შალვა გოგებაშვილი, მეთოდე ადეიშვილი და ძრავალი სხვა.

1942 წელს პოლონეთის მუშათა პარტიის ძმობიდებით შეიქმნა მრავალი პოლონურ-საბჭოთა პარტიზანული რაზმი, ერთ-ერთი ასეთი რაზმის — „კაზიკ ქართველის“ რაზმის მეთაური იყო სიმონ ჩიქოვანი. თავდაპირველად მის რაზმში 6 საბჭოთა და 15 პოლონელი მებრძოლი იყო. შემდეგ იგი საგრძნობლად გაიზარდა და ძირითადად კრასნიკის მაზრაში მოქმედებდა. იმავე ზაფხულს „კაზიკ ქართველის“ რაზმმა გაანადგურა ძეტკოვიცეს სამაზრო სამმართველო, შემდეგ ოსპო გერმანელთა დაცვა მიკულინში. რაზმელები ხშირად უსაფრდებოდნენ პოლიციის პატრულებს და ანადგურებდნენ მათ. „კაზიკ ქართველის“ რაზმი 1944 წლის თებერვალამდე მოქმედებდა პოლონეთის მიწაზე, რის შემდეგ შეუერთდა პოლკოვნიკ ვერშიგორას დაჯგუფებს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში პოლონელი და ქართველი მეომრების საბრძოლო თანამეგობრობამ კიდევ უფრო გაღრმავა და გამოაწრთო საბჭოთა საქართველოსა და სახალხო პოლონეთის მეგობრული კავშირი, რომელიც ნათელ გამოხატულებას პოულობს ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებაში.

ამას მოწმობს ის შემოქმედებითი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია ქართველ და პოლონელ ხელოვნების მოღვაწეთა შორის, კვრძოდ, ლოძისა და თბილისის საოპერო თეატრებს შორის, აგრეთვე ის მეცნიერული თანამშრომლობა, რომელიც აკავშირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლოძის უნივერსიტეტს კოლეგტივებს.

პოლონელი და ქართველი ხალხების ძმური, უანგარო მეგობრობა და სოციალისტური თანამშრომლობა ჩვენი საზოგადოების ეკონომიური, კულტურული აღმავლობისა და პროგრესის საფუძველს წარმოადგენს.

გ. ზედგინიძე.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა დაიწყო ნაშრომების მიღება 1975 წლის პრემიების მოსაპოვებლად. ნაშრომების მიღების ვადაა 1974 წლის 1 ოქტომბერი.

კომიტეტი აცნობებს ორგანიზაციებს, რომ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოეწყოს კანდიდატურათა ფართო და ყოველმხრივი საზოგადოებრივი განხილვა.

ნაშრომები კომიტეტში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი მისამართით: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13, მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

საქართველოს ამა-ბარეში

სახალხო თეატრების დათვალიერება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის კულტურის სახლში მოეწყო სახალხო თეატრების ზონალური დათვალიერება. მაიაკოვსკის რაიონის სახალხო თეატრმა წარმოადგინა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ორჯონიკიძის რაიონის სახალხო თეატრმა — ლ. მიღორავას კომედია „სად იყო ჭკუა“, ტყიბულის სახალხო თეატრმა მიროფანოვის პიესა — „მკვლელობა სადგურზე“, ქუთაისის განათლების განყოფილების მუშაკთა სახლის მოზარდ მაყურებელთა სახალხო თეატრმა — გ. იმერლის პიესა „დედის ფარანი“, ხოლო ზესტაფონის ზ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრმა ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“.

ხელოვნებათმცოდნეთა ჩვენების შემდეგ გაიმართა მაყურებელთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოებისა და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის წარმომადგენლები.

იღებენ ახალ ფილმს

სოხუმი. (საკ. კორ.). აქ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ჯგუფი მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით იღებს ახალ ფერად მხატვრულ ფილმს „აკაციის ყვავილობას“. ფილმის სცენარი, რომელიც შექმნილია ოტია იოსელიანის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, ეკუთვნის რეჟისორ რ. ჩხეიძეს.

ფილმს დასმს რეჟისორი რ. შარაბიძე, ოპერატორია ა. მაისურაძე, მხატვარი — ნ. ნიკოლაძე, მუსიკის ავტორია კომპოზიტორი ჯ. კალანდარიშვილი.

როლებს ასრულებენ მსახიობი ლ. ყიფიანი და კინოსტუდიასთან არსებული სამსახიობო სკოლის სტუდენტები — ე. გოგლიჩიძე, ლ. დეისაძე, მ. ქობალია, ნ. ლაბარაშვილი, ე. ბალათარია, თ. ჯავახიშვილი და სხვები.

ფილმს საკავშირო ეკრანზე უჩვენებენ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

საქვირაო სალაღობო

სხპარტაკიადა

შრომაზე თქმული

☐ საქმმ ინატრა — ნეტავ პირში მთქმელი მლიქვნელი-ვით უყვარდეთო.

☐ საქმმს ჰკითხეს, საიდან დაგიწყოთო, და — თავიდანაო.

☐ მუშაობით გაბეზრებული დასვენებაში ჰპოვებს შვებას, მაგრამ ვაი უქნარობით გაბეზრებულსაო.

☐ ბედნიერი ხარ, თუ დაღამება გწყინს და გათენება გიხარიანო.

☐ ზარმაცს ჰკითხეს, ანდაზებიდან რომელი უფრო მოგწონსო, და „ვიცის დედა ტიროდა, არვიცისა იცინოდაო“.

☐ ზარმაცი კლდიდან გადავარდა და თვალები დახუჭა — ეგებ წაძინება მოვასწროო.

☐ საქმმ ურჩია კაცს — ცოტა შენ ეცადე და ბევრს მე გასწავლიო.

ვ. ჯავრიშვილი.

— დედიკო, დედიკო, ნახე, იმ ბიძიასაც ჩექმები ჩაუცვამს...

ბ. ფირცხალავას ნახატი.

ოფიციალური ცხრილი

მომგებიანი ანაბრების მოგებათა 63-ე ტირაჟისა, რომელიც შედგა დ. ადიგენში 1974 წ. 4 აპრილს, მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგების ოდენობა პროცენტებით ანაბრების საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგების ოდენობა პროცენტებით ანაბრების საშუალო თანხასთან
ა 12	25	ა 547	25
ა 55	100	ა 563	25
ა 102	25	ა 639	25
ა 153	25	ა 650	25
ა 169	50	ა 697	50
ბ 201	25	ა 734	25
ა 254	100	ა 762	25
ა 310	25	ა 834	25
ა 352	200	ა 875	25
ა 397	25	ა 882	25
ა 403	25	ა 940	25
ა 447	25	ა 968	25
ა 507	25		

შემნახველ სალაროებში, საიდაც ანგარიშების რიცხვი 1000-ზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც ამ პირველ ათასეულში ა 12, ა 1012, ა 2012, ა 55, ა 1055, ა 2055 და სხვ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე ადიგენის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. პაპიაშვილი.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი ა. შიკეინაშვილი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ბ. ბიბოლაშვილი.

სპორტი

ფეხბურთი

გავარჯვება ოდესაში

ბუშინ ოდესაში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „ჩერნომორეცსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

დინამოელები თამაშობდნენ მოწდომებით და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 2:0. ორივე გოლი ბურთი გაატანა ნახევარმცველმა მჭედლიშვილმა — 38-ე და 48-ე წუთებზე.

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა მეკარემ გაგოშიძემ შეხვედრის 82-ე წუთზე მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხუროცლავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, ბ. მარაიძე, მჭედლიშვილი, ასათიანი, გუცაევი, ყიფიანი.

თამაშის შემდეგ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ოდესას. ვეხაუბრეთ დინამოელთა უფროს მწვრთნელს ბივი ჩოხელს. აი რა თქვა მან: დინამოელებმა კარგად წარმართეს მატჩი. ჩვენები მეტოქეს გაცილებით მწვავედ უტევდნენ. გუნდმა ეფექტიანი ტაქტიკური ამოცანა დამაჯერებელი ნახიკი ადადა მეოთხედფინალისაკენ. მინდა აღვნიშნო, რომ კუბიბშეველმა ნ. კრილოვმა ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა. მაგრამ გაგოშიძის სასახელოდ ვიტყვი, რომ მან ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა და ოდესელი გულშემატკივრებს მხურვალე ტაში დაამსახურა.

ექვსი მერვედფინალი

გუშინ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალის კიდევ ექვსი მატჩი.

მოსკოვის „დინამო“ ტაშკენტში შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს“. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ერევანში ადგილობრივი „არარატი“ ეთამაშებოდა ბაკოს „ნეფტჩის“. თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მოსკოვის ორი გუნდის — „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ შეხვედრაში ფიქსირებულია ფრე — 0:0. (მატჩი ჩატარდა სოჭში).

ალმა-ათაში „ყაზახმა“ მიიღო ვოროშილოვგრადის „ზარია“ და დამარცხდა ანგარიშით 2:3.

დონეცკის „შახტიორისა“ და როსტოვის სკა-ს შეხვედრა დამთავრდა დონბასელთა გამარჯვებით — 2:0.

ცსკა თამაშობდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „დნეპრმა“.

მერვედფინალის საპასუხო მატჩები გაიმართება 27 მაისს.

რამდენიმე სტრიქონით

☐ **ბიდაობა.** სსრ კავშირის თავისუფალ მოკიდავეთა გუნდმა აშშ-ში გაიმართა ტურნეს უკანასკნელი, მეექვსე შეხვედრა ქვეყნის ნაკრებთან და კვლავ გაიმარჯვა — 9:1. ოლიმპიური თამაშობისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, თბილისელმა ლევან თედიაშვილმა ამჯერადაც წმინდა გამარჯვებას მიაღწია.

☐ **ტენნარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონმა, ომსკელმა სტუდენტმა გალინა შეგუეროვამ გაიმარჯვა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საკავშიროო საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც პოლონეთის ქალაქ პოზნანში გაიმართა. იგი პირველი იყო არა მარტო მრავალქიდმი, არამედ პროგრამის სამივე სახეობაში.

☐ **კალათბურთი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა — რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა თავის მოედანზე ანგარიშით 96:67 (47:34) გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში საფრანგეთის უნივერსიტეტის სპორტკლუბ კლერმონ-ფერანთან. საპასუხო შეხვედრა გაიმართება ერთი კვირის შემდეგ კლერმონ-ფერანში.

☐ **ჰოკეი.** გუშინ ჰელსინკში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმართა კიდევ ორი მატჩი: შვეიცარია-პოლონეთი და ფინეთი-გდრ. გაიმარჯვეს შვეიცარმა და ფინელებმა, შესაბამისად, 4:1 და 7:3.

დღეს შვეიცარის ნაკრები იასპარეზებს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან, ხოლო საბჭოთა ჰოკეისტები — მასპინძლებთან.

ბუნება და ადამიანი

სიცოცხლის ბალანსი

ბუნებამ ... ადამიანი წინ ... ლივად მიაპყრობს ხელოვნ დედამიწა თავის ჩრდილოეთ ... ნახევარსფეროს მზეს. და იწყება ყინულთა სკლერა, დნება თოვლი, დგება გაზაფხული, იღვიძებს ბუნება, მასთან ერთად იღვიძებს ჩვენშიც რაღაც ღრმა, განსაკუთრებული. იდუმალი ძალა გვიხმობს ტყის ბილიკებისაკენ, ამწვანებული მდელოებისაკენ, ხავსის ნალიჩით მფენილი ჭანჭრობებისაკენ...

აპრილის მყუდროებაში გარინდულა ბუნება. ჯერ კიდევ ცოტა ადგა, ჯერ კიდევ ყვავილს არ გაუღვიძია. მდელოები ვერ დაუპყრია ნორჩ სიმწვანეს, ყვავილებიც ცოტაა — ენძელა, ყორნისფერა, ია. ტყეში, ხეობებში ჯერ კიდევ მიმალულან თოვლის უკანასკნელი ლაქები, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ფერდობებზე. მთაში ჯერ კიდევ ციგა, ვერ შეუღწევია სათანადოდ მზის მაცოცხლებელ სხივებს.

იკვირტებიან ვერხვი და ტირიფი, მურყანი და თხილი, ატამი და კომში. აპრილის ყოველ დღეს სიახლე მოაქვს წლის ამ ულამაზეს დროს — გაფურჩქვნის, სილამაზისა და სიყვარულის დროს ხოტბას ასხამენ სიმღერებსა და ლექსებში. „წლის დილა“ — ასე უწოდა მას პუშკინმა.

გაზაფხულის ჭექა-ქუხილზე — ბუნების ამ თავისებურ ყივილზე — იწყებენ გაფურჩქვნას ზოგიერთი მცენარეები. ერთ-ერთ ასეთ ბუჩქს ხალხმა „მეხ-მცენარეც“ კი შეარქვა. პირველ ჭექა-ქუხილს უპირისპირებენ ნოფრენას ჩვენნი მწყერები.

იღვიძებენ პირველი მწერები: ჰაერში დაზუზუნებენ ფუტკრები, აქა-იქ დაფარფატებენ პეპლები, ლამაზ და მსუბუქ ჩაგმულობაზე გადადიან ნადირ-ფრინველები.

გაზაფხული მრავალი ცხოველის გამრავლების პერიოდია. აპრილში წყვილდებიან გარეული ღორები, კურდღლები, ციყვები. უკვე ლალობენ თავის პატარძლთან შეერთები, მგლები, ეფოტისებრი ძაღლები, მარვები, კვერნები, ყარყუმები, წყლის თახვები. თხუნელებიც აპრილში იწყებენ საქორწინო რიტუალს — ამ დროს, ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ გამოდიან ისინი დღის სინათლეზე.

მამრ ირმებს ადრე გამოცვლილი რქების ადგილზე ახლები ეკოკრებათ, საღამოობით მოუსვენრად იწყებენ ფრენას ღამფრენი. გვახარებს გაზაფხულის მაუწყებელი მერცხლებისა და სხვა ფრინველების სამშობლოში დაბრუნება.

ზამთრის ძილისაგან გამოერკვნენ ქვეწარმავლები. გაიღვიძეს წყალხმელეთა ცხოველებმაც.

საქართველოს მთელ რიგ ტბებსა და ტბორებში ცხოვრობს საინტერესო ამფიბია — სავარცხლიანი ტრიტონი. როგორც კი დადგება აპრილი, ამ ცხოველის მამრი საოცარი ფერებით, საქორწინო მორთულობით იმოსება. საკმარისია კარს მოგვადგეს მაისი — გაზაფხულის მწვერვალი, მამრები მაშინვე იცვლიან მდიდრულ მორთულობას და კვლავ მონარხოსური ხდებიან. ზურგსა და კუდზე სავარცხელივე კი უპატარავდებათ და იგი ნაკლებ შესამჩნევი ხდება.

ყოველ გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება და მასთან ერთად ხალისიანი, ამაღელვებელი ფერებით იმოსებიან პირქუშნი მამრი ტრიტონები. მთავრდება გაზაფხულის ღღესასწაული, და მაშინვე ქრება საქორწინო მორთულობაც.

რადაც შინაგანი ძალები, მიჩქმალული ტრიტონთა ესოტეკიან ღრმა კუბეულებში, მთელი ძალით იფეთქებენ ხოლმე გაზაფხულობით, მიწისძვრასავით შეატორტმანებენ ცივი სისხლით შებოჭილ ორგანიზმებს და ისევე უკვალოდ ქრებიან. რას წარმოადგენენ ეს ძალები? რა ფიზიოლოგიური და ეკოლოგიური დანიშნულება გააჩნიათ მათ? ბუნების ეს ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და რთული გამოცანა ამოხსნეს ეთოლოგებმა, ანუ ცხოველთა ქცევისა და ფსიქიკის შემსწავლელმა მეცნიერებმა. ეს ძალები განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ცხოველთა რეპროდუქციის, თვითგამრავლების საქმეში.

აღმოჩნდა, რომ გაზაფხულზე, ქორწინების წინ, ცხოველთა სამყაროს არაერთი წარმომადგენელი ილამაზებს თავს. ასე, მაგალითად, ფრინველება შემოდგომით იმოსებიან შედარებით მქრქალი, გარემოსთან უფრო შეხამებული ბუმბულითა და ფრთებით. გაზაფხულზე, ბუნდოვანს ნათელი ბრდღვიალა ფერები ცვლის. აღმოჩნდა, რომ დაწყვილების წინ ეს ეშმაკური მექანიზმი გაცილებით ეფექტურია. ვიდრე უხეში ძალა, აგრესული ქცევები. ყველაფერი ეს ბუნებაში არსებული შემგუებლობის მავიური კანონის კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა.

აპრილი წყალდიდობის პერიოდიც არის. კალაპოტში ვეღარ ეტევიან ადიდებული მდინარეები და ტბები. წყალდიდობა თევზებს ტოფობისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნის. ქორჭილა, კაპარჭინა, ნაფოტა და სხვები ქვირითობენ მეჩხერ წყლებში. აქ წყალი უფრო სუფთაა, უფრო თბება მზის სხივებით...

აპრილია — ბუნების გაღვიძების ხანა.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს კპ ახალციხის რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1927 წლიდან, პერსონალური პენსიონერი

ალექსანდრე სიმონის-ძე წიკაურიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

7 აპრილი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შვეისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — ლიტერატურული პერიოდიკა, 12.00 — „სამეჯლისო ცეკვები“, 12.30 — ფერადი ტელევიზია. „დღეს გეოლოგის დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — კონცერტი. „თქვენი თხოვნით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.30 — „ჯადოსნური ეკრანი“, 14.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 15.50 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.20 — „კინოფიშა“, 16.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გაიტაცეს“, 17.00 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — „საჭადრაკო სკოლა“, 17.50 — საფორტეპიანო დუეტი, 18.35 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.05 — „მწვრალი და ცხოვრება, 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — „განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა“, 20.20 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „საგასტროლო გზები“ — სესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრი და ცხოვრება“.

მეორე პროგრამით

18.05 — კონცერტი. 18.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მ. ცარიოვი“, 20.20 — მხატვრული ფილმი — „კოლეგები“.

რადიო

8 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ზ. ფალიაშვილი — ნაწყვეტები ოპერებიდან, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — საუბარი „ეფექტიანად გამოვიყენოთ სასარგებლო წიაღისეული“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ტ. ტაბიძის ლექსები, 12.30 — უკრავს ლ. ისაკაძე, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ინსტრუმენტულ ანსამბლ „დო-რე-მის“ კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია“, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ბედნიერა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — პოპულარული ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — ინსტრუმენტულ ანსამბლ „ტერციას“ კონცერტი, 19.00 — ეკონომიური ცოდნის საფუძვლები საუბარი „შრომის ღირებულება და მატერიალური სტიმულირება“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.30 — გ. დონიცეტის ოპერა „სიყვარულის ნეკტარი“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

7 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ამაო სიფრთხილე** (დღისით); **ტრუბადური** (1-ლი აბონ. მე-2 წარმოდგენა საღამოს); **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **იულიუს კეისარი** (დღისით), **საბარალდეგო დასკვნა** (საღამოს 7 ს.); **რუსთაველის** სახელობის მცირე დარბაზი — **ხიდი**; **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ტაკიმასხარა** (დღისით და საღამოს); **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — **მოვდივართ და მოვიმღერით** (დღისით), **მაკოცე კეთ** (საღამოს).

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდი ვნის — 99-72-80, ხამდივნოხი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-84, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების. უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02592

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.